საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მაისი-აგვისტო

2023

ადვოკატთა სახლი ოფიციალურად გაიხსნა

23 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალი ოფისი, „ადვოკატთა სახლი“ ოფიციალურად გაიხსნა.

ახლადაშენებული შენობა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა, საქართველოს პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, მარია სლაზაკმა და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, კლაუდიო ვისკომ გახსნეს.

მოწვეულ სტუმრებს, ასევე, მისასალმებელი სიტყვით მიმართეს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა და გენერალურმა პროკურორმა, ირაკლი შოთაძემ. ცერემონიას ესწრებოდნენ აშშ-ს ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლები.

ადვოკატთა სახლი ოფიციალურად გაიხსნა

სპეციალურად საზეიმო ღონისძიებისთვის საქართველოში ჩამოვიდნენ დელეგაციები ლატვიიდან და აზერბაიჯანიდან.

ღონისძიების ფარგლებში ადვოკატთა ფიცის დადების ტრადიციული ცერემონიაც ჩატარდა. ერთწლიანი ადაპტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ასოციაციას კიდევ 100-მდე ახალი წევრი შეემატა.

ადვოკატთა სახლი

მის: თინათინ ვირსალაძის 1 ჩიხი #1.

ადვოკატთა ასოციაციის ახალ ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულია, როგორც ადმინისტრაციული განყოფილება, ასევე, სასწავლო ცენტრი, ეთიკის კომისია, ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტი. შენობაში, ასევე, მოწყობილია სატრენინგო და საკონფერენციო სივრცეები და კაფეტერია.

აშშ-ს ელჩი კელი დეგნანი ადვოკატთა ასოციაციას ეწვია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, კელი დეგნანი საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად ესტუმრა.

სტუმრებს ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ჭეხანმა ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა გააცნეს და ახლადაშენებული ადვოკატთა სახლი დაათვალიერებინეს.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ადვოკატთა ასოციაციაში მიმდინარე რეფორმები განიხილეს და აშშ-ს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები მიმოიხილეს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა აშშ-ს მხარდაჭერის განსაკუთრებულ როლს იურიდიული პროფესიის გაძლიერებაში.

მხარეებმა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებულ მიღწევებსა და გამოწვევებზეც ისაუბრეს, ასევე, აღინიშნა ადვოკატთა ასოციაციის აქტიური როლის მნიშვნელობა ამ პროცესში.

ელჩმა დეგნანმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ადგილობრივი წარმომოადგენლობა სხვადასხვა პროექტის საშუალებით ადვოკატთა ასოციაციისა და ქართული იურიდიული პროფესიის მხარდაჭერას მომავალშიც გააგრძელებს.

"ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლების მონაწილეობით ქართულ-გერმანული სამართლებრივი ფორუმი გაიხსნა

ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლების მონაწილეობით თბილისში ქართულ-გერმანული სამართლებრივი ფორუმი- „საუკეთესო გამოცდილების გაზიარება საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე“ გაიხსნა. ფორუმი საქართველოსა და გერმანიის იუსტიციის სამინისტროების ორგანიზებით ტარდება.

ორდღიანი ფორუმის გახსნით ნაწილში მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ადვოკატთა ასოცოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა, იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ, გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა ანჟელიკა შლუნკმა, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ანრი ოხანაშვილმა.

ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობენ ევროკავშირის სააგენტოს „ევროჯასტის“ ვიცე-პრეზიდენტი ბოშტიან შკრლეცი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წევრები, პროკურატურის, ადვოკატთა ასოციაციის, პენიტენციური სამსახურის პირები და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.

სამართლებრივი ფორუმი ორი ქვეყნის სამართლებრივი სისტემების მეტად დაახლოებასა და სამართლის დარგის გაძლიერებას ისახავს მიზნად.

ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციამ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციამ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა თემაზე: გენდერული თანასწორობა, როგორც ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ნაწილი, რომელიც აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ადვოკატურის ლიდერები მსოფლიოს 20 ქვეყნიდან.

შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, დავით ასათიანმა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა გენდერული თანასწორობის მიღწევის საკითხში იურიდიული პროფესიების როლს და გამოწვევების დასაძლევად საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მნიშვნელობას.

კონფერენციის სადისკუსიო ნაწილში მოხსენებით წარსდგა მართლმსაჯულების კომიტეტის თანათავმჯდომარე სოფო სოხაძე, რომელმაც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ქართულ პრაქტიკაზე ისაუბრა.

კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ გენდერული თანასწორობის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენცია ტრადიციულ სახეს მიიღებს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თემაზე ადვოკატებისა და პროკურორების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრა ჩატარდა

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ადგილობრივი ადვოკატებისა და პროკურორების მონაწილეობით ბათუმში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თემაზე მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა ჩატარდა. ამერიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრას ატლანტას შტატის მოსამართლეები: ენნ ჰარისი და ჯეიმს ბოდიფორდი ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ჭეხანმა, საქართველოს პროკურატურის ნაფიც მსაჯულთა საქმეების დეპარტამენტის უფროსმა, ნინო აღლემაშვილმა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს უფროსმა მრჩეველმა მართლმსაჯულების საკითხებში, პატრიცია ვილდერმუტმა მიმართეს.

შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, კანდიდატების აცილება/თვითაცილებისა და მტკიცებულებების გამოკვლევასთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნულ თემებზე ამერიკელი მოსამართლეებისგან დეტალური ინფორმაცია მოისმინეს აშშ-ში დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტუალურ საკითხებზე ბენჩ-ბარი ჩატარდა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტუალურ საკითხებზე მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench-Bar) მორიგი რეგიონული სამუშაო შეხვედრა ქუთაისში გაიმართა.
შეხვედრა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და საქართველოს პროკურატურისა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლებმა გახსნეს.

მრგვალი მაგიდის ფორმატში ადვოკატებმა, მოსამართლეებმა და პროკურორებმა საგამოძიებო და საპროცესო ეტაპებზე კანონთან კონფლიქტში მყოფ და დაზარალებულ ბავშვებთან მიმართებით არსებული გამოწვევები განიხილეს და ამასთან, აღნიშნული მიმართულებით იმერეთის რეგიონულ კონტექსტში არსებულ პრობლემატიკაზე იმსჯელეს.

განხილულ გამოწვევებთან დაკავშირებით ბენჩ-ბარის მონაწილეებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომი განხილვისა და გავრცელების მიზნით მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს მმართველ კომიტეტს მიეწოდება.

ადვოკატთა ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობის საკოორდინაციო შეხვედრა ჩატარდა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ადვოკატთა ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობის საკოორდინაციო შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარეები და აღმასრულებელი საბჭოს წევრები ესწრებოდნენ.

შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის წარმომადგენელმა, მარიამ ვარდოსანიძემ.

სამუშაო შეხვედრაზე ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ჭეხანმა საკომიტეტო საქმიანობის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები მიმოიხილა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

შეხვედრის ფარგლებში თბილისსა და რეგიონებში მოქმედი კომიტეტების თავმჯდომარეებმა საკომიტეტო საქმიანობის ანგარიშები წარადგინეს, ასევე არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. შეხვედრის ფარგლებში შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას ისაზავს მიზნად.

მეწარმეთა შესახებ კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე სამუშაო შეხვედრა ჩატარდა

ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის მეწარმეთა შესახებ კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე სამუშაო შეხვედრა ჩატარდა.
ორდღიანი ტრენინგი აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით შედგა.
შეხვედრას ექსპერტი, გიორგი ჯუღელი უძღვებოდა.

შეხვედრაზე მეწარმეთა შესახებ კანონთან დაკავშირებული ისეთი თემები განიხილეს როგორებიცაა:
• შეზღუდული პასუხისმგებლობის შინაარსი სამეწარმეო სამართალში;
• კორპორაციის (სამეწარმეო საზოგადოების) ფინანსური სტრუქტურა;
• კორპორაციის (სამეწარმეო საზოგადოების) მიერ წილზე საკუთრების უფლების შეძენა;
• კორპორაციის (სამეწარმეო საზოგადოების) ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა;
• პარტნიორის გარიცხვა და გასვლა შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოებიდან;
• პარტნიორების უფლებები და პასუხისმგებლობები;
• კორპორაციის (სამეწარმეო საზოგადოების) ნებაყოფლობითი და სასამართლო დაშლა;

ადვოკატთა ასოციაციისა და აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) თანამშრომლობის ფარგლებში სამომავლოდ არაერთი ღონისძიებაა დაგეგმილი.

თემაზე „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სამოქალაქო ჩართულობის მნიშვნელობა საქართველოში“ კონფერენცია ჩატარდა

აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერითა და ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციის (EPAG) ორგანიზებით კონფერენცია ჩატარდა თემაზე - „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სამოქალაქო ჩართულობის მნიშვნელობა საქართველოში“.

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა - გიორგი ჭეხანმა მიმართა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის გაძლიერების მნიშვნელობასა და ამ მიმართულებით ადვოკატთა ასოციაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებზე ისაუბრა.

ადვოკატთა ასოციაცია აგრძელებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის პოპულარიზაციის მიზნით ორგანიზებული ღონისძიებების აქტიურ მხარდაჭერას.

სამუშაო შეხვედრა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის საკითხებზე

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის გაიდლაინების შესახებ ადვოკატთა ასოციაციაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ევროკავშირის პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ უფროსი ექსპერტი, მალხაზ ნარინდოშვილი უძღვებოდა.

სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეებმა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს, ასევე, საუბარი შეეხო კანონმდებლობის მოთხოვნებს, გავრცელების ფარგლებს, სექტორში არსებულ რისკებსა და პრევენციულ ზომებს.

ადვოკატთა ასოციაცია აქტიურად აგრძელებს მუშაობას ყველა დაინტერესებულ მხარესთან იმ მიზნით, რომ ქვეყანაში არსებობდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ისეთი ეფექტიანი მექანიზმები, რომელიც ამავდროულად არ შეუქმნის რისკს საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლობას.

სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის პროექტის ფარგლებში ჩატარდა. აღნიშნული საკითხების განხილვა ადვოკატთა ასოციაციაში მომავალშიც გაგრძელდება.

სამშენებლო სამართლის თემაზე ადვოკატებისთვის ტრენინგი ჩატარდა

USAID/Georgia სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით აჭარის რეგიონში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის სამშენებლო სამართალში ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგში 50 ზე მეტი პრაქტიკოსი ადვოკატი მონაწილეობდა.

შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მიერ სამშენებლო დავების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ იმსჯელეს. ასევე, საუბარი შეეხო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ტრენინგს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე შოთა გეწაძე უძღვებოდა.

ტრენინგი ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტის წევრებისთვის

USAID ის სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტის წევრებისთვის ტრენინგი ჩატარდა თემაზე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებათა აღსრულება.

შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოების პროცედურები მიმოიხილეს და ისეთ თემებზე იმსჯელეს, როგორებიცაა:

• ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების საზედამხედველო დიდტემა;
• ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების მიმოხილვა/ აღსრულებლობის სამართლებრივი შედეგები;
• გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულების საზედამხედველო სისტემა;
• აღსრულების მდგომარეობა ქართულ საქმეებზე და სხვ.

ტრენინგს ექსპერტი- ლევან მესხორაძე უძღვებოდა.

ადვოკატთა ასოციაციაში ამერიკის სოლიდარობის ცენტრის საქართველოს პროგრამის დირექტორთან შეხვედრა ჩატარდა

ამერიკის სოლიდარობის ცენტრის საქართველოს პროგრამის დირექტორ - სტანისლავ ჩიენიუჩთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა - გიორგი ჭეხანმა მიმოიხილა ის აქტივობები, რომელსაც ადვოკატთა ასოციაცია შრომის სამართლის სფეროს შემდგომი განვითარებისთვის ახორციელებს.

მხარეებმა შრომით სამართლებრივ საკითხებთან და შრომითი უფლებების გაუმჯობესების ხელშეწყობასთან დაკაშირებით მჭიდრო თანამშრომლობის მზაობა გამოთქვეს და ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტის მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მხარდაჭერაზე შეთანხმდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით ადვოკატებისთვის უისკონსინის შტატში სასწავლო ტური ჩატარდა

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევების საკითხებზე უისკონსინის შტატში სასწავლო ტური ჩატარდა.

ტურის ფარგლებში ადვოკატებმა სემინარებსა და საინფორმაციო სახის შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა. ადვოკატებს, ასევე, საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ სასამართლო პროცესებს.

აღნიშნულ პროგრამაში ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ის ადვოკატები მონაწილეობდნენ, რომლებაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევებში საბაზისო, შუალედური და სიღრმისეული (ტრენერთა-ტრენინგი) ტრენინგები გაიარეს.

აღნიშნული ინიციატივა, რომელსაც განგრძობადი ხასიათი ექნება, მიზნად ისახავს ასოციაციაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართულებით მომუშავე ადვოკატების პროფესიულ გაძლიერებას, ასევე, ტრენერთა ჯგუფის ფორმირებას, რომელიც აქტიურად ჩაერთვება ყველა დაინტერესებული ადვოკატის შემდგომი გადამზადების პროცესში.

მადლობას ვუხდით, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და ამერიკელ ხალხს იურიდიული პროფესიის გაძლიერებისა და საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის განვითარების მხარდაჭერისთვის!

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხებზე ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრების მონაწილეობით შეხვედრა გაიმართა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრების მონაწილეობით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხებზე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეხვედრა გაიმართა.
ადვოკატთა ასოციაციისა და გენერალური პროკურატურის მიერ ორგანიზებულ, ერთობლივ შეხვედრაში 30-მდე ადვოკატი მონაწილეობდა.
შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა და საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ნათია მერებაშვილმა.
შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესუალურ და პროცედურულ საკითხებს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარების მიზნით ადვოკატთა ასოციაციისა და პროკურატურის წარმომადგენლებს შორის მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებისთვის ტრენერთა ტრენინგი ჩატარდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს (INL) თანამშრომლობის ფარგლებში, ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებისთვის 4-დღიანი სიღრმისეული ტრენერთა ტრენინგი ჩატარდა თემაზე: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები.

ტრენერთა-ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს იმ ადვოკატებმა, რომლებმაც გაიარეს საბაზისო და შუალედური ტრენინგები ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევებში. აღნიშნული ინიციატივის მიზანია ასოციაციაში ტრენერთა ჯგუფის ფორმირება, რომელიც აქტიურად ჩაერთვება ყველა დაინტერესებული ადვოკატის შემდგომი გადამზადების პროცესში.

ტრენერთა ტრენინგის კურსს უძღვებოდნენ მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სისხლის სამართლის ადვოკატები ჯორჯიის შტატიდან - ჯეისონ შეფილდი და ენჯი ქოგინსი.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო აგრძელებს ადვოკატთა ასოციაციის აქტიურ მხარდაჭერას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით.

ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში სადისკუსიო შეხვედრა ჩატარდა



ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში მრგავლი მაგიდის სერიის მორიგი სადისკუსიო შეხვედრა ჩატარდა.

სამუშაო შეხვედრაში ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი, ასოციაციის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მახარაშვილი და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის პრობლემატიკაზე მომუშავე ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ.

შეხვედრის ფარგლებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის გამოწვევები და მიღწევები განიხილეს. შეხვედრის მსვლელობისას ყურადღება გამახვილდა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში მნიშვნელოვან ასპექტებზე, კრიტერიუმებზე, შერჩევის პროცესის შედეგზე.

შეხვედრის მონაწილეებს, ასევე, მიეწოდათ ინფორმაცია საკანონმდებლო ბაზის ფუნქციურ თუ კოლიზიურ ასპექტებზე, საკანონმდებლო ბაზის აღსრულების ნიუანსებსა და მართმსაჯულების პროცესში ჩართული მხარეების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

აღნიშნული ფორმატის შეხვედრები ახალგაზრდა ადვოკატების პროფესიაში მეტად ინტეგრირებასა და მათ პროფესიულ ზრდას ისახავს მიზნად და მომავალშიც გაგრძელდება.

სატრენინგო ციკლი



სატრენინგო ციკლის ფარგლებში სამუშაო შეხვედრა ჩატარდა თემაზე „ფარული საგამოძიებო მოქმედებები“, სადაც მონაწილეებმა ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პრინციპები;
- ფარული საგამოძიებო მოქმედების შუამდგომლობის დასაბუთება;
- პირის უფლებები, რომლისთვისაც ცნობილი გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე;

ფარული საგამოძიებო მოქმედების სასულიერო პირის, ადვოკატის, ექიმის, ჟურნალისტისა და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ და თემასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.
ტრენინგს უძღვებოდა ტრენერი - ლევან მახარაშვილი.

სატრენინგო ციკლი

ადვოკატთა ასოციაციაში ადვოკატებისთვის ტრენინგი ჩატარდა თემაზე: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების მექანიზმები.

სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეებმა ისეთი საკითხები განიხილეს როგორებიცაა:

- ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებები;
- ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;
- ადმინისტრაციულ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადების, არარად აღიარების ან ქმედების განხორციელების მოთხოვნით.
- შეხვედრას ტრენერი- გიორგი გვენეტაძე უძღვებოდა.

სატრენინგო ციკლი

სატრენინგო ციკლის ფაგლებში, ასევე, ტრენინგი ჩატარდა თემაზე: შშმ ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებები.

ტრენინგს უძღვებოდნენ:
სოფიკო მენაბდიშვილი და ანა თავხელიძე -„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ იურისტები.

შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი თემები:

- შშმ პირის ტერმინების განსაზღვრება;
- ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის უფლების შესახებ;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ძალადობა - არსებული ხარვეზები და საერთაშორისო სტანდარტები და სხვა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უზბეკეთისა და ტაჯიკეთის იუსტიციის სისტემის წარმომადგენლებს უმასპინძლა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უზბეკეთისა და ტაჯიკეთის იუსტიციის სისტემის წარმომადგენლებს უმასპინძლა. უცხოური დელეგაციის წევრებს შორის იყვნენ ადვოკატურის, იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლოს წარმომადგენლები.

სტუმრებს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა ასოციაციაში განხორციელბული რეფორმების შესახებ ესაუბრა და ორგანიზაციის სამომავლო გეგმები გააცნო.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა ასევე, შეხვედრები გამართეს იურიდიული დახმარების სამსახურთან, საერთო სასამართლოებთან, ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებსა და UNDP-ს საქართველოს წარმომადგენლობთან.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები უზბეკ და ტაჯიკ კოლეგებთან სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა ადვოკატებთან რეგიონული სამუშაო შეხვედრები გამართეს

რეგიონული შეხვედრების ფარგლებში ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა თელავსა და ქუთაისში ადვოკატებთან სამუშაო შეხვედრები გამართეს.

ადვოკატებთან შეხვერისას კონსტანტინე გელაშვილმა ეთიკის კომისიის საქმიანობის, უახლესი პრაქტიკისა და რეკომენდაციების შესახებ ისაუბრა. ადვოკატებმა პროფესიული ეთიკის მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები დისკუსიის რეჟიმში განიხილეს.

"ეთიკის კლინიკის" კურსდამთავრებულებისთვის დასკვნითი შეხვედრა ჩატარდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აგრძელებს „ეთიკის კლინიკის“ მეშვეობით სტუდენტებში ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ ცოდნის გავრცელებას და სტუდენტებისთვის იურისტის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს უნივერსიტეტთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში „ეთიკის კლინიკამ“ სტუდენტებისთვის მორიგი სასწავლო კურსი ჩაატარა.

ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ „ეთიკის კლინიკის“ პრაქტიკული კურსი ცხრა სტუდენტმა გაიარა, სწავლება სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ასევე, ეთიკის კომისიაში სამთვიანი სტაჟირება გაიარა ოთხმა სტუდენტმა.

კურსის დასკვნითი შეხვედრა ადვოკატთა ასოციაციაში ჩატარდა. სტუდენტებს სერთიფიკატები ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, კონსტანტინე გელაშვილმა გადასცეს.

ადვოკატთა ასოციაციაში ყოფილ მოსამართლე, ლია ორკოდაშვილთან შეხვედრა ჩატარდა

ლია ორკოდაშვილი სამოსამართლეო საქმიანობას 25 წლის განმავლობაში სხვადასხვა რაიონულ და საქალაქო სასამართლოში, ასევე, სააპელაციო სასამართლოში ახორციელებდა.
მრავალწლიან საქმიანობას ქალბატონი ლია კანონით დადგენილი საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ დაემშვიდობა, თუმცა, როგორც ღონისძიებაზე თავად აღნიშნა მისი სამომავლო გეგმები ახლა უკვე ახალ პროფესიას - საადვოკატო საქმიანობას უკავშირდება.

საადვოკატო ბიუროების საყურადღებოდ!

ადვოკატთა სახლის ოფიციალური გაიხსნის კვალდაკვალ, ოფისის პერიმეტრზე გამწვანების სამუშაოები მიმდინარეობს. ირგვება ხეები და ეწყობა მწვანე საფარი.

აღნიშნულ პროცესში კი ფინანსური შემოწირულობის გზით მონაწილეობის სურვილი არაერთმა საადვოკატო ბიურომ გამოთქვა, რაც ჩვენი მხრიდან მისასალმებელი ინიციატივაა.

გამწვანების პროექტის ფარგლებში, თითოეული თანამონაწილე ბიუროს სახელზე დაირგვებახე, შესაბამისი აღნიშვნით, რომელიც ჩვენს ქალაქსა და პროფესიის მომავალ თაობებსდარჩება.

საადვოკატო ბიუროებს და ასევე ინდივიდუალურ ადვოკატებს, ვისაც სურვილი გაქვთმონაწილეობა მიიღოთ ადვოკატთა სახლის ტერიტორიის გამწვანების კეთილ საქმეში, ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ასოციაციის საკონტაქტო პირს შემდეგნომერზე: 577 448 584